1 ივნისი

პასექის VI კვირა [II]

წმ. იუსტინე წამ.,+~165, (მ), წ
(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ

2019 შაბათი

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თვით მამას უყვარხართ, ვინაიდან მე შემიყვარეთ იო 16,27

იესოს მოწაფეები, მასთან ერთად მყოფ-
ნი და მისი სიტყვის მიმღებნი, მოიწონა და
შეიყვარა მამამ, ცისა და მიწის უფალმა.
მათი ცხოვრება მის ხელთ იყო, უვნებლად.
ასე ჩვენ, მისი ეკლესიის მეშვეობით რომ
ვიღებთ თავად იესოს, მის სიტყვასა და
მისი მადლის ძღვენს, უშიშრად მივდივართ
მამისკენ და ვგემულობთ მის სიყვარულს.

2 ივნისი

პასექის ჟამის VII კვირადღე, «გ», [III], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

2019 კვირა

საქმ 7,55-60; ფს 96; გამოცხ 22,12-14.16-17.20; იო 17,20-26

რათა ყველანი იყვნენ ერთი იო 17,21

მამაო მართალო და წმიდაო,
შენგანაა სიცოცხლის სიტყვა
შენს სულთან თანაზიარებაში;
ქმენ, რათა ერი შენს მიერ გამოსყიდული
სრულყოფილ ერთობაში იყოს
შენი სიყვარულის საკვრელში,
რათა ირწმუნოს წუთისოფელმა ის,
ვინც შენ მოავლინე, იესო ქრისტე,
დასაბამი და მიზანი მთელი ქმნილებისა.
იგია ღმერთი, რომელიც
ცოცხლობს და სუფევს შენითურთ,
ერთობაში სულიწმიდისა,
უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

3 ივნისი

პასექის VII კვირა [III]

წმმ. კარლო ლვანგა და მეგ., წამ., + 1886, (მ), წ

2019 ორშაბათი

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

ენებზე ალაპარაკდნენ და წინასწარმეტყველებდნენ საქმ 19,6

ეს მოხდა ეფესოში, თორმეტ კაცზე, რომ-
ლებსაც პავლემ ხელები დაასხა. მათზე
გადმოვიდა სულიწმიდა, ხოლო ნიშნები
აშკარა და ხილული იყო ყველასთვის. ამ
მოგონებით ჩვენ მივდივართ ჩვენი მირონ-
ცხების მომენტამდე, ასევე იმ კონკრეტულ
მომენტამდე - აღსარებამდე, კურთხევამდე,
- როდესაც იესომ, თავისი მოციქულის მე-
შვეობით, ხელი დაგვასხა ჩვენ და განგვია-
ხლა თავისი სულიწმიდის ძღვენი.
ნიშნები ყოველთვის არსებობდა:
პირველ რიგში, სიყვარულისა და
მსახურების განახლებული ძალა.

Ч ИЗНИСИ

2019 სამშაბათი

საქმ 20,17-27; ფს 67; იო 17,1-11

სულიწმიდა მიმოწმებს და მეუბნება, რომ ბორკილები და ჭირი მელის საქმ 20,23

მილეთში, დღევანდელ თურქეთში, წმ. პავლე ესალმება ეფესოს უხუცესებს: თავის მისიას ასრულებს, მიდის იერუსალიმში, სადაც - სულიწმიდაში გრძნობს ამას - "ბორკილები და ჭირი" ელოდება. დღევანდელ სახარებაში ჩვენ წავიკითხავთ ლოცვას, რომლითაც იესო, სიკვდილისა და აღდგომის წინ, მიმართავს მამას. ჩვენც სიხარულით მოვხვევთ ხელს ჩვენს ყოველდღიურ ჯვარს და გვეცოდინება, რომ ის ძვირფასია უფლის თვალში. და ნდობით ვიტყვით: "მოდი, სულო წმიდაო!". ალელუია!

5 ივნისი

პასექის VII კვირა [III]

წმ. ბონიფაციუსი, ეპ. და წამ., +754, (მ), წ

2019 ოთხშაბათი

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება საქმ 20,35

სანამ შენ გაგიცნობდი, იესო, მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი; არ ვიცოდი, სხვა რისთვის დამეხარჯა დროსა გარდა იმისა, რომ ყალბი სიხარულის ნატამალი მაინც მქონოდა. როდესაც ჩემს გულში შემოხვედი - იმ კურთხეულ დღეს! - მე შევიცანი გაცემის სიხარული, როდესაც იმ მცირედსაც კი გავცემდი, რაც მქონდა. გმადლობ შენი სიყვარულისთვის, იესო, ვინაიდან ამ ნეტარებასაც განგვაცდევინებ!

6 ივნისი

პასექის VII კვირა [III] თ

წმ. ნორბერტი, ეპისკოპოსი, +1134

2019 ხუთშაბათი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

დიდება, შენ რომ მომეცი, მათ მივეცი იო 17,22

დიდება, მამამ რომ თავის ძე იესოს მისცა, სხვა ვერაფერი იქნება, გარდა მისივე სიცოცხლისა, მისივე სიყვარულისა: რომელიც სულიწმიდაა. ხოლო იესო მას ჩვენ გვაძლევს: მისი წყალობით ჩვენ, იესოს მოწაფეები, ერთნი ვართ ჩვენი ღმერთის მსგავსებად, მისი მყოფობა ვართ წუთისოფელში. ესაა დიდება, რომელსაც მიველტვით, ვინაიდან ჩვენი უფლის დიდებაა, წუთისოფლის სიცოცხლეა. მოდი, სულო წმიდაო!

7 ივნისი

პასექის VII კვირა [III] თ

2019 პარასკევი

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

უფალო, შენ ყველაფერი იცი, იცი, რომ მიყვარხარ! იო 21,17

გიყვარდეს იესო! მცირე რამ როდია, ბავშვური თამაში როდია... ეს ისაა, რაც თავად იესოს სურდა მოციქულისგან, მისგან, ვინც ამოირჩია, რომ ყველა დანარჩენის ბურჯი, წინამძღოლი და ერთობის იარაღი ყოფილიყო. ეს ისაა, რაც მისთვის სასურველად აქცევს ყოველ მოწაფეს, უმცირესსა და უცნობსაც კი; რაც აძლიერებს და ნაყოფიერსა და ძვირფასს ხდის ცხოვრებასა და მსხვერპლს. კვლავ მოდი, სულო წმიდაო! და მხოლოდ მომმადლე, რომ იესო მიყვარდეს! ალელუია!

8 ივნისი

პასექის VII კვირა [III] თ

2019 შაბათი

საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

პავლე ღებულობდა მასთან მიმსვლელებს; ღვთის სასუფეველს ქადაგებდა საქმ 16,30-31

პავლე რომშია, კეისრის სასამართლოს განსჯის მოლოდინში. მას ნება მისცეს, რომ მარტო ეცხოვრა, დარაჯების მეთვალყურეობის ქვეშ. თუმცა, მას თავის სიცოცხლეზე რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ჰქონდა, რაზეც ფიქრობდა... მას ძლიერ ჰგავს ჩემი ძმა საკრებულოდან: წმირად საავადმყოფოში მყოფიც არ კარგავდა შესაძლებლობას, რომ იქაც ექადაგა მამის სიყვარული, იესოს ხსნა! კვლავ მოდი, სულო მოწმობისა და სიხარულისა!

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

სულთმოფენობა, «გ», დდ, [ს], წ

2019 ᲙᲕᲘრᲐ

საქმ 2,1-11; ფს 103; რომ 8,8-17; იო 14,15-16,23-26

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ იო 14,16

იესო, შენ დაგვპირდი, რომ მამა
მოგვივლენს ნუგეშისმცემელსა და
დამცველს, რომელიც ჩვენთან იქნება
მაშინ, როდესაც შენ აღარ იქნები ხილული
ჩვენს თვალთათვის. დღეს კი ჩვენ
მართლაც ვტკბებით მისი მოქმედებით.
ის გვეხმარება, რომ მივენდოთ მამას
და სიხარულით და უყუყმანოდ
დაგემორჩილოთ შენ. სულიწმიდა მოვიდა!
გმადლობ, მამაო, და გმადლობ შენ, იესო!

10 ივნისი

რიგითი X კვირა [II]

წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), თ

2019 ორშაბათი

დაბ 3,9-15.20, ან, საქმ 1,12-14; ფს 86; იო 19,25-34

„აი, დედა შენი“ იო 19,26

სუთმოფენობის შემდგომი დღე სამართლიანადაა ეკლესიის დედა მარაიამის ხსენების დღე, რადგან სწორედ სულიწმიდის გადმოღვრით გამოჩინდა ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში დაბადებული ეკლესია. მემახსოვრება, რომ ჩემ საკრებულოს, რომელიც მამას უწოდებს ღმერთს, ღვთისმშობელში ჰყავს ის დედა, რომლის ლოცვაც მუდამ განახლებული რწმენის მადლს აწვდის მას. მადლობა იესო, შენ არამხოლოდ სული არ დაიშურე ჩვენთვის, არამედ სულზე უტკბესი დედის კალთა მოაფინე შენს ძმებსა და დებს.

11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი X კვირა [II]

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ) [ს] თ

2019 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

საქმ 11,21ბ-26;13,1-3; ფს 97; მთ 10,7-13

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲨᲔᲐᲒᲝᲜᲔᲑᲓᲐ, ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲣᲤᲐᲚᲨᲘ

საქმ 11,23

წმ, ბარნაბა, როდესაც ანტიოქიაში დაფუძნებული ეკლესიის ქრისტიანები მოინახულა, მოციქულთა ვტორიტეტით სთხოვდა მათ, რომ "წრფელი გულით დამკვიდრებულიყვნენ უფალში". ასე ჩვენც წრფელნი ვიქნებით იესოსადმი ერთგულებაში; წრფელნი ვიქნებით იესოს უწყების გაცემაში, რომელიც გვიხსნის და გვახარებს, წრფელნი ვიქნებით მამისადმი ჩვენი ცხოვრების მიძღვნაში, რათა ბევრი ნაყოფი გამოვიღოთ. გმადლობ, წმიდა ძმაო, რომ ზეციდანაც განაგრძობ 'შრომას' ადამიანთა სასიხარულოდ!

12 ივნისი

რიგითი X კვირა [II]

წმ. გასპარე ბერტონი, სტიგმატელთა
კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

2019 ოთხშაბათი

2კორ 3,4-11; ფს 98; მთ 5,17-19

ასო კლავს, სული კი აცოცხლებს 2კორ 3,6

დღეს წმ. პავლე მოგვიხმობს, რომ სრული აზრი არ მივანიჭოთ სიტყვას, წესს ან მითითებას. ვინაიდან ჩვენი ყურადღება მუდამ იმისკენ უნდა იყოს, ვინც ჩვენი სიკეთისათვის სიტყვა, წესები და მითითებები გადმოგვცა. იგი ჩვენი მამაა, რომელსაც დღესაც, თავის სიყვარულში, სურს გაგვიძღვეს თავისი სულის მეშვეობით. ის მუდამ იმყოფება ეკლესიაში, მუდამ ცოცხალია მასში, ვინც ნდობის ურთიერთობაშია იესოსთან.

13 ივნისი

რიგითი X კვირა [II]

წმ. ანტონ პადუელი, ხუც. და ეკლ. მოძღ., +1231, (მ), თ

2019 ხუთშაბათი

2კორ 3,15 - 4,1.3-6; ფს 84; მთ 5,20-26

ვინც თავის ძმას განურისხდება, სამსჯავროს თანამდები იქნება მთ 5,22

უკვე ოცი წლის ვიყავი, როდესაც მღვდელს ვკითხე, რისი გაკეთება შემეძლო იესოს საამებლად. მან მიპასუხა: "პირველ რიგში, დედაშენს დაეხმარე მცირე საქმეებ-ში". ძალიან გამეხარდა! ვინაიდან მანამდე თავგზა მქონდა აბნეული და უსარგებლო ეჭვებითა და წვრილმანებით ვიყავი და-ქანცული. ახლა, როგორც იქნა, ჩემთან მოდიოდა იესოს ნათელი, მოკრძალებული, მაგრამ ძლიერი: მამისა და მოყვასისადმი სიყვარულის ნათელი. და მასთან ერთად მეუფლებოდა სიხარული! გმადლობ, იესო!

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

2019 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

2კორ 4,7-15; ფს 115; მთ 5,27-32

ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს მთ 5,32

დღეს ჩვენ, უძლურნი, მომსწრენი ვართ
იმ ქორწინებათა რღვევისა, რომლებიც
ღმრთის კურთხევით შეიქმნა. და
ვხედავთ, რამხელა ტანჯვას იწვევს ეს
მეუღლეებისთვის და, პირველ რიგში,
შვილებისთვის, რომლებიც ხშირად
მთელი ცხოვრების მანძილზე რჩებიან
დაზარალებულნი და საჭირო სიმშვიდეს
ვეღარ პოულობენ, ჯანსაღად რომ
აღიზარდონ. ღმრთის სიბრძნე მართლაც
შორსმჭვრეტელია. იესო ამას გვთავაზობს
ჩვენ და უშიშრად უწოდებს ყველაფერს
იმას, რაცაა ღმერთის თვალში.

15 ივნისი

2019 შაბათი

2კორ 5,14-21; ფს 102; მთ 5,33-37

ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს 2კორ 5,20

მოციქულში, ისევე როგორც ეკლესიის ყოველ ჭეშმარიტ მწყემსში, იესოს გული ფეთქავს. ჭეშმარიტი სიყვარულისგან აღ-გზნებული სიმდაბლით ეუბნება მას, ვინც ჯერ კიდევ შორსაა მამის გულში ჩაკვრის-გან: დაანებე, რომ იესო შეგეხოს, დაანებე, რომ მოგწვდეს მისი სისხლი, რომელიც განწმედს და იხსნის, მისის სიტყვა, რომე-ლიც ანათლებს, მისი სიყვარული, რომე-ლიც მშვიდობითა და სიხარულით ავსებს! მიიღე იესო და მამის გულში იქნები!

16 ივნისი

ყოვლადწმიდა სამება, «გ», დდ, [ს], თ

2019 კვირა

იგ 8,22-31; ფს 8; რომ 5,1-5; იო 16,12-15

ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია იო 16,15

სხვას რას ვხედავთ, როდესაც ჩვენს
ღმერთს ვუცქერთ, თუ არა სიყვარულსა
და სიხარულს, რომელიც ურთიერთმი-
ძღვნიდან, კეთილგანწყობილებიდან
და ნეტარებიდან მოდის?
გმადლობ, იესო, რომ მოხვედი ამქვეყნად,
რათა ჩვენთვის გამოგებრწყინებინა მა-
მის სახე; კვლავ გმადლობ, ვინაიდან შენი
მსხვერპლით შემოგვიყვანე შენში, სიყვა-
რულითა და სულიწმიდით აღგვავსე.

17 ივნისი

2019 ორშაბათი

2კორ 6,1-10; ფს 97; მთ 5,38-42

ჩვენი მხრივ არავინ დავაბრკოლოთ 2კორ 6,3

პავლე აღწერს, როგორია უფლის მსახური
და, რატომაც არა, თითოეული ჩვენგანი,
ვისაც იესო გვიყვარს და გვინდა, რომ ამ
სამყაროში მისიანები ვიყოთ. დავძლიოთ
სიზარმაცე: ახალ აღთქმაში მოვძებნოთ
მეორე წერილი კორინთელთა მიმართ
და წავიკითხოთ დღევანდელი მონაკვეთი:
სულ მცირე, ერთი მაინც გავითავისოთ
იმ მშვენიერი თვისებებიდან, მოციქული
რომ გვიხატავს, რაღაც მაინც ვისწავლოთ
იმ ჭეშმარიტი სიბრძნიდან, რომელიც
გვაცოცხლებს მამის გულისთქმით და
'გაგვწაფავს' სიყვარულში.

18 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

2019 სამშაბათი

2კორ 8,1-9; ფს 145; მთ 5,43-48

ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით მთ 5,44

მინდა ახლავე გავაკეთო ეს, იესო! დღეს არავინაა, ვინც მე მდევნის და მავიწროებს შენდამი ჩემი რწმენის გამო. მაგრამ არის ვიღაც, ვინც მირთულებს შენი სიტყვის შესრულებას, რომ მუდამ სიმშვიდეში ვიყო და მამას მივენდო, სიხარულსა და სიყვა-რულში. და მუდამ არსებობს ვიღაც, ვინც ეკლესიას ავიწროებს. არ განვსჯი მას, ბრალს არ ვდებ; შესაძლოა ის შენი იარა-ღია, რომ მეტად დაგიახლოვდე შენ: ამას შენს გულს მივანდობ სიყვარულით.

19 ივნისი

რიგითი XI კვირა [III] მწ

წმ. რომუალდ, აბატი, +1027

2019 ოთხშაბათი

2კორ 9,6-11; ფს 111; მთ 6,1-6.16-18

ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს 2კორ 9,7

როდესაც რაღაცის გაკეთება გვინდა უფლისათვის, მას ვაკეთებთ როგორც მისი სიყვარულის სამადლობელს, მაშასადამე, სიხარულით ვაკეთებთ. ჩვენი დახმარება გაჭირვებაში მყოფ ახლობელ თუ შორეულ ძმებს, მცირედიც კი, მის გულსაც გაახარებს.

20 ივნისი

2019 ხუთშაბათი

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ
ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

დაბ 14,18-20; ფს 109; 1კორ 11,23-26; ლკ 9,11-17

აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა ლკ 9,16

მეც ასე მოვიქცევი, იესო: შევეცდები, რომ ჩემი ცხოვრება შენი სასუფევლისადმი მსახურება იყოს. მერე კი აღარ დავეძებ სად ან რა იქნება: იმით დავკმაყოფილ-დება, რასაც მამა მაძლევს ჩემს ყოფაში; და ამისთვის ვთხოვ მას კურთხევას. გმა-დლობ, ვინაიდან ერთ დღეს ჩემს გამო შენი ხორცი და სისხლი მიუძღვენი მამას მსხვერპლად, რაც კვლავაც ასაზრდოებს შენს სიყვარულსცემში.

21 ივნისი

რიგითი XI კვირა [III]

წმ. ალოიზი გონძაგა, ბერი, +1591, (მ), თ

2019 პარასკევი

2კორ 11,18.21-30; ფს 33; მთ 6,19-23

თუ დასაკვეხნია, ჩემი უძლურებით დავიკვეხნი 2კორ 11,30

პავლეს, როგორც თავად ამტკიცებდა, ჰქონდა რაღაც დასაკვეხნი: იგი ებრაელია, ისევე როგორც მისი მსმენელი; სახარებისთვის, რომელსაც აუწყებს, ბევრი იტანჯა და იწვალა... თუმცა, მხოლოდ თავისი უძლურებით იკვეხნის: დიახ, ვინაიდან როდესაც ამას იესოს მივანდობთ, თავად იესოს ვიზიდავთ ჩვენ. და სადაც იესოა, იქ სიცოცხლე და ხსნაა!

22 2019

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგითი XI კვირა [III] მწ

წმ. პავლინ ნოლადან, +431;
წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ., +1535

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

2კორ 12,1-10; ფს 33; მთ 6,24-34

ყოველ დღეს საკმარისად აქვს გასაჭირი მთ 6,34

შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, რომ ჩვენი ღმერთი უფრი კეთილი, უფრო მზრუნველია, ვიდრე ყველაზე კეთილი და მზრუნველი მამები! ვხვდები, რომ როდესაც საკვებზე ან ჩასაცმელზე ანდა ჩემთვის ან სხვისთვის რთულ მდგომარეობაზე უნდა ვიფიქრო, იგი ჩემთან ერთად ფიქრობს და ჩემზე უწინ ერევა. ნელნელა, სიხარულით ვსწავლობ, რომ არ ვიდარდო, არამედ მის სიყვარულს მივენდო.

23 ივნისი

2019 კვირა

ზაქ 12,10-11ა. 13,1; ფს 62; გალ 3,26-29; ლკ 9,18-24

თქვენთვის კი, ვინა ვარ? ლკ 9,20

ყოველი სულის შემომკრები
და ყოველივეს შემოქმედი
შენი მარჯვენა
შენ მიალურსმე
სიკვდილი ჩარხზე,
ჯვარის ნიშანზე,
რომ დაგემსხვრია
შენი წმიდა ნებისადმი
შეწინააღმდეგების
სითამამე ჩემში.
(წმ. გრიგოლ ნარეკელი)

24 ივნისი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, დდ, [ს], თ

2019 ორშაბათი

ეს 49,1-6; ფს 138; საქ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

მისი სახელია იოანე ლკ 1,63

იოანეს მშობლები მტკიცენი და ერთსულოვანნი არიან უჩვეულო გადაწყვეტილებაში: თავიანთი ყრმის ჩვეულებისამებრ არ იქნება საგვარეულო სახელი; არამედ იქნება ახალი, იმედის მატარებელი სახელი; ღმრთისგან ბოძებული სახელი: არა 'ზაქარია', რაც ნიშნავს "ღმერთს ახსოვს", არამედ 'იოანე', ანუ, "ღმერთს უყვარს". მისი სახელი იქნება გაცხადება ყველაზე კეთილი უწყებისა, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება! წმ. იოანე ნათლისმცემელო, ნეფის მეგობარო, იგალობე და ევედრე ჩვენთვის!

25 2019

ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

(12.VI) წმ. ღირსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი, VIს; წმ. იოანე-თორნიკე მთაწმიდელი, Xს

სამშაბათი

დაბ 13,2.5-18; ფს 14; მთ 7,6.12-14

შედით ვიწრო კარიბჭით მთ 7,13

დილით მაღვიძარას ცოტათი ადრე ვაყენებდი, რომ ლოცვისთვის დრო მქონოდა. ვუყურებდი ჯერ კიდეც სრულ სიბნელეს გარეთ და ჩემს დას, რომელსაც მშვიდად ეძინა ჩემს გვერდით საწოლზე... მიჭირდა ადგომა, მაგრამ იესო საზღაურს მაძლევდა: იგი სიხარულსა და ძალას მმატებდა, და მთელი დღის მანძილზე წინ მიმიძღოდა.

26 ივნისი

2019 ოთხშაბათი

დაბ 15,1-12.17-18; ფს 104; მთ 7,15-20

თავიანთი ნაყოფით იცნობთ მათ მთ 7,20

უფალი გვაფრთხილებს, არ გავხდეთ ცრუ წინასწარმეტყველთა მსხვერპლი. მორწმუნეობა როდი ნიშნავს ყველაფრის დაჯერებას; სიბრიყვე ცოდვაა! ჭეშმარიტი ღმერთი წმიდა წერილში, პირველ რიგში, სანდო ღმერთს ნიშნავს. ენდო მას და დაელოდო, ნიშნავს არ მოტყუვდე, როგორც გვიმოწმებს ამას მორწმუნეთა მამა აბრაამი და მისი რწმენისა და მოლოდინის აღსრულება – ქრისტე იესო.

27 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV] მწ

წმ. კირილე ალექსანდრიელი, ეპ. და ეკლ. მოძ., +444

2019 ხუთშაბათი

დაბ 16,1-12.15-16; ფს 105; მთ 7,21-29

ყოველი, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ აღასრულებს, ჰგავს უგუნურ კაცს მთ 7,24

ძმისგან მხოლოდ უხეში პასუხი მივიღე; არადა გვერდით უნდა მყოლოდა, მასთან ერთად უნდა მეშრომა ღმრთის სასუფევლისთვის... მაშინ როცა ჩემი სიყვარული საგრძნობი იყო, სულიწმიდამაც გადმომცა სიტყვა: "თუ ტქვენ არ მიუტევებთ... არც თქვენი მამა მოგიტევებთ ტქვენს შეცოდებებს" . ცოტა გაჭირვებით დავიწყე ამ ძმასთან უბრალო საუბარი; შემდეგ, ნელ-ნელა, ჩვენს შორის დიდმა სიხარულმა დაისადგურა.

28 ივნისი

იესოს ღმრთაებრივი გული, «გ», დდ, [ს], თ

2019 პარასკევი

ეზეკ 34,11-16; ფს 22; რომ 5,5-11; ლკ 15,3-7

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ჯერ კიდევ როცა ცოდვილნი ვიყავით, ქრისტე მოკვდა ჩვენთვის რომ 5,8

ხშირად მეკითხებიან მუსლიმები: "რატომ ატარებთ და გიყვართ ჯვარი? განა ის უკიდურესი დამცირების, თუნდაც სირცხვილის ნიშანი არაა?" ჩუმად მისმენენ და მიყურებენ, როდესაც ვცდილობ, რომ მათი ენით ასე გადმოვცე ჩემი სატქმელი: "ჩემთვის, ყოველი ქრისტიანისთვის, ჯვარი ამბობს: აჰა, არსებობს ვიღაც, ვინც შეგიყვარა, და ვისაც უყვარხარ ესოდენ ძლიერ".

29 ივნისი

წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი დდ, [ს], წ

2019 **შაბათი**

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას მთ 16,18

შენმა სიყვარულმა, იესო, შექმნა საოცრება: შენი ეკლესია. ყოველ ადამიანს მასში შეუძლია მუდამ იპოვოს შენი სიტყვა, შენი მიტევება, შენი პური, ბოროტისგან დაცვა და წინამძღოლი. შენ გჭირდება ადამიანები, რომლებშიც სულიწმიდის ძალით და შენდამი რწმენის წყალობით ცოცხლობ და მოქმედებ.
წმიდანო პეტრე და პავლე, მოციქულთა მეთაურნო, იგალობეთ დიდება და მუდამ ილოცეთ ჩვენთვის!

30 ივნისი

რიგითი ჟამის XIII კვირადღე, «გ», [I], მწ

2019 კვირა

ᲛᲔᲤ 19,16.19-21; ფს 15; გალ 5,1.13-18; ლკ 9,51-62

გადაჭრით იბრუნა პირი იერუსალიმს წასასვლელად ლკ 9,51

ამ შენს დღეს, უფალო იესო, შენს ეკლესიად გაერთიანებულნი, გევედრებით შენ: მოგვმადლე, რომ "გადაჭრით ვიბრუნოთ პირი" შენს გამოსაყოლად, ჩვენი ჯვრის ხელში დასაკავებლად, შენთან ერთად "იერუსალიმს" წასასვლელად, იქ, სადაც თავი მსხვერპლად შესწირე მამას. შენი მაგალითი, ისევე როგორც წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, წამებულთა და ჩვენი მრავალი მწყემსისა და ძმის მაგალითი, გვარწმუნებს, რომ არ გაგვიცრუვდება იმედი: იერუსალიმში შენ სიკვდილს სძლიე!